სექტორის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს სოფლის მეურნეობა 2019 წელს

2020 წლის 15 ივნისს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა სოფლის მეურნეობის ყოველწლიური სტატისტიკური პუბლიკაცია „საქართველოს სოფლის მეურნეობა 2019“ გამოაქვეყნა. პუბლიკაციის მიხედვით, 2019 წელს სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის წილი ნომინალურ მშპ-ში 7.2% იყო, რაც მცირედით ჩამოუვარდება 2018 წლის მაჩვენებელს (7.8%), თუმცა თანხვედრაშია ბოლო ხუთი წლის ზოგად ტენდენციასთან (საშულოდ, მშპ-ის 7-8%). ნომინალურად, 2019 წელს, 2018 წელთან შედარებით, სოფლის მეურნეობის გამოშვება 4%-ით გაიზარდა. რეალურად კი, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის წილი 2019 წლის მშპ-ში 7.4% იყო, რაც 2018 წლის მაჩვენებელზე (7.9%) დაბალი იყო. სექტორების გამოშვებას რაც შეეხება, 2019 წელს, 2018 წელთან შედარებით, რეალური გამოშვება 4%-ით შემცირდა. თუმცა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლის წილი შინამეურნეობების მთლიან შემოსავლებში 2018 წლიდან არ შეცვლილა და 5.5%-ს შეადგენდა, რაც თვეში, საშუალოდ, 60.3 ლარს უდრის.

საშემოდგომო და საგაზაფხულო ნათესების ფართობი 2019 წელს შემცირდა და 203.0 ათასი ჰა შეადგინა, როცა აღნიშნული მაჩვენებელი 2018 წელს 207.1 ათასი ჰა იყო.

ბოსტნეულის წარმოება ჯამში 13%-ით გაიზარდა. ყველაზე დიდი ცვლილება კომბოსტოს, პომიდვრისა და ნივრის წარმოებაში დაფიქსირდა. კომბოსტოს, ყვავილოვანი კომბოსტოსა და ბროკოლის წარმოება 58%-ით გაიზარდა, პომიდვრის კი – 21%-ით. ნივრის წარმოება, პირიქით, 58%-ით შემცირდა. ხილის (მათ შორის, ყურძნისა და ციტრუსების) წარმოებაც 2%-ით შემცირდა. მართალია, ხილის მთლიანი წარმოება შემცირდა, თუმცა ყურძნისა 13%-ით გაიზარდა. მკვეთრი შემცირება დაფიქსირდა თესლოვანი (ვაშლი, მსხალი) და კურკოვანი (ქლიავი, ბალი, ატამი) ხილისა და ციტრუსების წარმოებაში. თუმცა თხილის, სუბტროპიკული და კენკროვანი ხილის წარმოება გაიზარდა. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ 2019 წელს, 2018 წელთან შედარებით, მემცენარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა.





წყარო: საქსტატი, 2020 წ. რეალური გამოშვება დაითვალეს ავტორებმა.

რაც შეეხება მეცხოველეობას, ცხვრისა და ფრინველის სულადობა გაიზარდა, თუმცა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, თხისა და ფუტკრის სულადობა შემცირდა.

ხორცის წარმოება 4%-ით შემცირდა, მატყლის – 5%-ით, თუმცა რძის წარმოება 1%-ით, კვერცხისა კი 4%-ით გაიზარდა. ცვლილება არ გვაქვს თაფლის წარმოებაში.

მთლიანობაში, მეცხოველეობის 2018 და 2019 წლის მონაცემებს შორის მნიშვნელოვანი ცვლილება არ არის, არც პირუტყვის სულადობის და არც წარმოების თვალსაზრისით.

2019 წელს არ შეცვლილა ხორბლის (15%) და რძისა და რძის პროდუქტების (81%) თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი. თუმცა 2018 წელთან შედარებით, სასოფლო-სამეურნეო პრუდუქტების უმეტესობის შემთხვევაში თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი შემცირდა. ყველაზე დიდი კლება დაფიქსირდა ცხვრისა და თხის ხორცის წარმოებაში, სადაც თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 294%-დან 158%-მდე შემცირდა. ერთადერთი პროდუქტი, რომლის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2019 წელს გაიზარდა, არის ბოსტნეული. კოეფიციენტი 2018 წელს 59% იყო, 2019 წელს კი 62%-მდე გაიზარდა.





წყარო: საქსტატი, 2020 წ.

ფასები

ადგილობრივი ფასები

2020 წლის მარტ-მაისში თვიურ ჭრილში ფასების დონე საქართველოში გაიზარდა. 2020 წლის მაისში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი) მცირედით, 0.2%-ით გაიზარდა 2020 წლის აპრილთან შედარებით. ხოლო 2020 წლის აპრილში ფასების შესაბამისი ცვლილება 0.9% იყო, მარტში კი – 0.7%.

2020 წლის მარტ-აპრილში ფასები გაიზარდა სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფშიც. მარტში, წინა თვესთან შედარებით, სურსათის ფასების ინდექსი 2%-ით გაიზარდა, აპრილში კი – 3%-ით. მაისში სურსათის ფასები დასტაბილურდა და თვიურმა ინფლაციამ თითქმის 0% შეადგინა.





წყარო: საქსტატი, 2020; შენიშვნა: წინა თვის ინდექსის მნიშვნელობა არის 100.

2020 წლის მარტ-მაისში სფი იზრდებოდა წლიურ ჭრილშიც. 2020 წლის მაისში სფი, 2019 წლის მაისთან შედარებით, 6.5%-ით გაიზარდა. აპრილში წლიურმა ინფლაციამ, ისევე, როგორც სურსათის ფასების ზრდამ, მოცემული პერიოდის მაქსიმალურ დონეს მიაღწია და, შესაბამისად, 6.9% და 16.1% შეადგინა.

2020 წლის მაისში, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები, 2019 წლის მაისთან შედარებით, 14.7%-ით გაიზარდა, რამაც სფი 4.58 პროცენტული პუნქტით გაზარდა. მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა სურსათის შემდეგ ჯგუფებში შემავალმა პროდუქტებმა:



ხილი და ყურძენი (47.1%↗)

რძე, ყველი და კვერცხი (24.6%↗)

თევზეული (17.1%↗)

წყარო: საქსტატი, 2020 წ.

საერთაშორისო ფასები

2020 წლის მარტში სურსათის ფასების ინდექსი, რომელსაც გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) ითვლის, 2019 წლის მარტთან შედარებით, 2.1%-ით გაიზარდა. 2020 წლის აპრილიდან კი საერთაშორისო ფასებმა წლიურ ჭრილში შემცირება დაიწყო. 2020 წლის მაისში FAO-ის სურსათის ფასების ინდექსი წლიურად 6.5%-ით შემცირდა. ფასების ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების შემცირებამ შემდეგ ჯგუფებში: რძის პროდუქტები (-19.6%), შაქარი (-11.6%) და ხორცი (-3.6%). საერთაშორისო ფასები მცირდებოდა თვიურ ჭრილშიც, რაც COVID-19-ის უარყოფით ეკონომიკურ ეფექტებს უკავშირდება: ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო ქვეყნების უმრავლესობამ იმპორტზე მოთხოვნა შეამცირა.

საერთაშორისო ფასებისგან განსხვავებით, საქართველოში სურსათის ფასები აღმავალი ტრენდით ხასიათდებოდა როგორც თვიურ, ისე წლიურ ჭრილში. ამის მთავარი მიზეზი ქართული ლარის აშშ დოლართან მიმართებით გაუფასურებაა: 2020 წლის მარტ-მაისში, წინა წელთან შედარებით, ქართული ლარი აშშ დოლართან მიმართებით 15.8%-ით გაიფასურდა.

რადგან საქართველო სურსათის პროდუქტების წმინდა იმპორტიორია, ლარის გაუფასურებამ მათი ფასების ზრდა გამოიწვია. მიწოდების ჯაჭვში COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებულმა შეფერხებებმა სურსათის ხელმისაწვდომობა შეზღუდა, რამაც მისი ფასები კიდევ უფრო გაზარდა.

COVID-19-თან დაკავშირებული შეზღუდვები უკვე შემსუბუქდა და სასოფლო-სამეურნეო აქტივობებიც განახლდა.

მოსალოდნელია სურსათის ფასების შემცირება, რაც ბაზარზე ახალი, სეზონური პროდუქტების გამოჩენასა და მიწოდების ზრდას უკავშირდება.



წყარო: FAO, 2020 წ.

საერთაშორისო ვაჭრობა

წლიურ მონაცემებს თუ შევხედავთ, 2020 წლის იანვარ-მაისში, 2019 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, საქართველოს მთლიანი ექსპორტი 16%-ით შემცირდა. იგივე ტენდენცია დაფიქსირდა აგრო ექპორტშიც, რომელიც 4%-ით შემცირდა. 2020 წლის იანვარ-მაისში, 2019 წლის იმავე პერიოთან შედარებით, იმპორტი 17%-ით, 3,580 მლნ. აშშ დოლარიდან 2,970 მლნ. აშშ დოლარამდე შემცირდა. ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების მიუხედავად, აგრო იმპორტი ამ პერიოდში 3%-ით გაიზარდა. აგრო იმპორტის კიდევ უფრო ზრდა შეიძლება COVID-19-ის პანდემიას მივაწეროთ, რადგან ამ პერიოდში სასოფლო-სამეუნეო და სურსათის პროდუქტების მარაგი დაგროვდა. 2020 წლის მარტში, საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ პანდემიის ფონზე, სახელმწიფო დამატებით 16 მლნ. ლარს დახარჯავდა შაქრის (5000 ტ.), მცენარეული ზეთისა (1,500 ათასი ლ.) და მაკარონის (500 ტ.) სუბსიდირებაზე. მეტიც, სურსათის იმპორტიორებმა სახელმწიფოსგან სუბსიდია მიიღეს იმპორტისთვის, რამაც აგრარული პროდუქციის იმპორტის ზრდა წაახალისა.

2020 წლის იანვარ-მაისში ტოპ იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სია (ღირებულების მიხედვით) ასე გამოიყურება:

- ხორბალი;
- ცოცხალი, ცივი, გაყინული ხორცი და საკვები ფრინველის ხორცი;
- სიგარები, სიგარილები და სიგარეტები;
- შაქარი და ქიმიურად სუფთა საქაროზა.

მართალია, ტოპ პროდუქტების უმეტესობის შემთხვევაში იმპორტის მაჩვენებელი გაიზარდა, მაგრამ სიგარეტების იმპორტი 34%-ით შემცირდა, ხოლო შაქრის იმპორტი მკვეთრად, 125%-ით გაიზარდა. სტაბილურად, თუმცა მცირედით გაიზარდა ხორბლისა (1%) და ფრინველის ხორცის (8%) იმპორტი.





წყარო: საქსტატი, 2020 წ.
შენიშვნა: აგრო ქსპორტი და იმპორტი მოიცავს სურსათის მონაცემებსაც.

საქართველოს მთავრობამ პანდემიის დროს სურსათის ფასების დასტაბილურება სცადა

COVID-19-ის საპრევენციო ზომების მისაღებად, 28 იანვარს, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო შეიქმნა. საბჭოს ფარგლებში, სასურსათო მარაგების მართვაზე, ლოგისტიკასა და ტრანსპორტირებაზე ზედამხედველობა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაეკისრა (MEPA, 2020). მარტში მთავრობამ განაცხადა, რომ სამინისტროს ბიუჯეტიდან დამატებით 10 მლნ. ლარს გამოყოფდა, რაც მიზნად ბიზნესის სუბსიდირებას და 9 საკვებ პროდუქტზე ფასების შენარჩუნებას ისახავდა. ეს პროდუქტებია: ბრინჯი, მაკარონი, წიწიბურა, მცენარეული ზეთი, შაქარი, ხორბალი, ხორბლის ფქვილი, რძის ფხვნილი და ლობიო (საქართელოს საკანონმდებლო მაცნე, 2020 წ.). პროგრამა 15 მარტიდან 15 მაისამდე უნდა განხორციელებულიყო. სახელმწიფომ იმპორტიორებს ადგილობრივი ვალუტის გაცვლითი კურსის რყევებით გამოწვეული დამატებითი ხარჯებიც დაუსუბსიდირა.

მეტი ინფორმაციისთვის იხ. ბმული: https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/17895

მთავრობამ სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა „ზრუნვა სოფელზე და ფერმერებზე“ წარადგინა

2020 წლის 12 მაისს საქართველოს მთავრობამ საზოგადოებას სოფლის მეურნეობის ანტი-კრიზისული გეგმა „ზრუნვა სოფელზე და ფერმერებზე“ წარუდგინა. გეგმის თანახმად, მთავრობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს ორი სახის დახმარებას სთავაზობს: პირდაპირი დახმარება და სექტორული მხარდაჭერა. პირდაპირი დახმარება გულისხმობს მცირემიწიანი ფერმერების აგრო-ბარათებითა და აგრო-დიზელით დახმარებას, სამელიორაციო მომსახურების ღირებულების განულებას, საბრუნავი კაპიტალისთვის საჭირო აგრო-კრედიტების გაცემას. სექტორული მხარდაჭერა კი ითვალისწინებს გრანტებს სასათბურე მეურნეობებისა და კოოპერატივებისთვის, ახალ საბანკო შეღავათებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის, აგრო-დაზღვევის პირობების ცვლილებას, მერძევეობის სექტორის მხარდაჭერას და მწარმოებელთა ხელშეწყობას სურსათის უვნებლობის საერთაშორისო რეგულაციებისა და სტანდატების ათვისებაში.

მეტი ინფორმაციისთვის იხ. ბმული: https://mepa.gov.ge/Ge/Page/AntiCrisisPlan/

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
აგრარული პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

ავტორები: სალომე გელაშვილი, s.gelashvili@iset.ge
სალომე დეისაძე, s.deisadze@iset.ge